სახალხო ხელისუფლების წლებში კუბაში 14 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის მოასფალტებული და გრუნტიანი გზა გაიყვანეს. საგზაო მშენებლობა გეგმიანად, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. ამ საქმეში კუბელები ფართოდ იყენებენ საბჭოთა სპეციალისტების გამოცდილებას და მეთოდებს.

სურათზე: ათასკილომეტრიანი გზატკეცილის მშენებლობაზე.

პრესსა ლატინა — საკდესის ფოტო.

მეგობრული ვიზიტი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 24 აპრილი. (საკდესი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. ბიედიჩმა მიიღო აქ ვიზიტით მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი დ. ს. პოლიანსკი. გულთბილ, მეგობრულ საუბარში მონაწილეობდნენ საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ქუმორაქი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპაკოვი.

ბელგრადი. 24 აპრილი. (საკდესი). აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი დ. ს. პოლიანსკი და საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ქუმორაქი, აგრეთვე საბჭოთა და იუგოსლავ სპეციალისტთა ჯგუფი.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც ეხება ორი ქვეყნის ურთიერთობასა და კონტაქტებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ქუმორაქმა საიელი გაუმართა საბჭოთა სტუმარს.

ბ. ვ. სიხარულიძე

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 66 წლისა გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1942 წლიდან სკკპ წევრი ბიორგი ვასილის-ძე სიხარულიძე.

ბ. სიხარულიძე დაიბადა 1909 წელს თბილისში. 1934 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი და სამუშაოდ გაგზავნეს უკრაინის სსრ ქალაქ ნიკოპოლში, სადაც ჯერ ინჟინრად მუშაობდა, შემდეგ კი — ხაელმავლო დეპოს უფროსის მოადგილედ. 1939 წლიდან 1949 წლამდე ხელმძღვანელ თანამდებობებზე იმყოფებოდა ამიერკავკასიის რკინიგზაში; 1949 წლიდან თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსი იყო, ხოლო 1954 წლიდან — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

1954 წელს ბ. სიხარულიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს, სადაც 1973 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა.

ყველა უბანზე, სადაც კი პარტია გზავნიდა, ბ. სიხარულიძემ გამოავლინა კარგი ორგანიზატორული უნარი, იყო პრინციპიული, გულისხმიერი ხელმძღვანელი, ნიჭიერი სპეციალისტი, მთელ თავის ძალას, მდიდარ გამოცდილებას და ცოდნას ახმარდა პარტიისა და მთავრობის მიერ რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეს.

ბ. სიხარულიძემ თავი გამოიჩინა როგორც აქტიურმა საზოგადო მოღვაწემ. იგი ყოველთვის რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, საქართველოს კომპარტიის XXII, XXIII, XXIV ყრილობებზე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო ხუთი მოწვევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ბიუროს წევრი.

ბ. სიხარულიძის დამსახურება დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ — დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა და ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები.

წავიდა ჩვენგან გულისხმიერი ამხანაგი, სამრეწველო წარმოების ორგანიზატორი, რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის ხელმძღვანელი. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულებში, ვინც მას იცნობდა და მასთან მუშაობდა.

ე. ა. შევარდნაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, ვ. მ. სირაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, პ. ბ. გილაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, შ. ვ. ყარუყარაშვილი, ძ. კ. შარტავა, ზ. ა. კვაჭაძე, ბ. ვ. ბედინეიშვილი, ბ. ნ. ჯიბლაძე, კ. ე. კეთილაძე, ფ. მ. მახარაძე, ვ. მ. ბალავაძე, დ. ა. პერტენავა, ნ. ტ. ბაფრინდაშვილი, ა. ი. მეტრეველი, ა. ს. მელია.

უდიდესი წვლილი მშვიდობის საქმეში

ბელგრადი, 25 აპრილი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუროს მე-12 სესიის მონაწილეებმა, რომელიც ბაღდადში მიმდინარეობდა 23-24 აპრილს, მოიწონეს რეზოლუცია ფაშიზმზე გარჯვების 30 წლისთავის შესახებ.

ჰიტლერული ფაშიზმის შემსაბამ განზრახვა დაემყარებინა მსოფლიო ბატონობა, ხაზგასმულია რეზოლუციაში, ჩაიფუშა ფაშისტურ ყოველისა საბჭოთა კავშირის არმიისა და ხალხის გადაწყვეტი წვლილის მეოხებით, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ომის მთავარი სიმძიმე.

ფართო ანტიფაშისტური ფრონტი, წინააღმდეგობის გმირული მოძრაობა ისტორიაში შევა როგორც მკაფიო მაგალითი ხალხთა ერთიანობისა აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

განვლილი 30 წლის მანძილზე ძალთა თანაფარდობამ მსოფლიო ასპარეზზე დიდი ცვლილებები განიცადა მშვიდობის, დემოკრატიის, პროგრესისა და სოციალიზმის სასარგებლოდ, აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში. ეს შესაძლებელი გახდა უმთავრესად მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები ადგანან. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი, სოციალიზმის პრესტიჟი და გავლენა. ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნაში ხალხებმა აირჩიეს განვითარების სოციალისტური გზა.

შეფუდეს რეპრესიები

ლონდონი. 25 აპრილი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის პროფკავშირები გადაჭრით მოითხოვენ ადგილზონ ჩილელ მშრომელთა კანონიერი უფლებები, შეწყვიტონ რეპრესიები მათ წინააღმდეგ, განაცხადა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა ლ. მერეიმ, რომელიც გამოვიდა ჩილეს ხალხისადმი სოლიდარობის კონფერენციაზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

25 აპრილი

ბონი. მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 1970 წელს ხელშეკრულებანი დადო სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, დასავლეთ გერმანიის ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან, რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან განუხრელად უსწრებს საგარეო ვაჭრობის ზრდის საშუალო ტემპს მთლიანად ქვეყანაში. ეს ნათქვამია სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველკვირეულ გაზეთ „ფორვერსტში“.

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა უბედურების რაიონად გამოცხადა ალაბამის შტატი, რომელიც ძლიერ დაზარალდა წყალდიდობისა და გრიგალისაგან.

ბრაზავილი. კონგოს სახალხო რესპუბლიკაში დაიწყო პინოჩეტის ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ჩილელი ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობის ერთთვიური. ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ერთთვიურის დროს წაიკითხავენ ლექციებს, აჩვენებენ დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც ასახავენ ჩილეს პატრიოტული ძალების გმირულ ბრძოლას ქვეყანაში დემოკრატიული თავისუფლებების აღდგენისათვის.

ადასტურებს პრესა

იმედი გაუცრუვდათ

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. (საკდესი). „ისრაელმა იმედი გაუცრუა ებრაული ეროვნების ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს, და ისინი ტოვებენ მას“, — ეწერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ დასავლეთბერლინელი კორესპონდენტი ა. ზიგერი.

დასავლეთ ბერლინის გრუნევალდის რაიონში, აღნიშნავს იგი, 650 კაცმა შეაფარა თავი ძველ სახლს, რომელსაც წითელი ჯვარი საერთო საცხოვრებლად იყენებს. ამ სახლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა მითხრა: „მე ინჟინერი ვარ, ოდესის ერთ დიდ ქარხანაში კარგი ხელფასიანი სამუშაო მქონდა. მქონდა ბინა და მანქანა. ისრაელში წასვლაზე მე და ჩემი ოჯახი წავალეზა რადიოსადგურ „კოლ ისრაელის“ გადაცემებმა, რომლებშიც სოტბას ასხამდნენ ისრაელში ცხოვრებას და ამბობდნენ, ელექტრონიკის ინჟინრები და სპეციალისტები გვჭირდებიო. მაგრამ როცა ჩავედით, გამოირკვა, თურმე სულ სამი ინჟინერი სჭირდებოდათ და ამ ადგილებზე საბჭოთა კავშირიდან ჩასული არც ერთი კაცი არ აიყვანეს. ჩვენ ისრაელი დედა გვეგონა, თურმე ბოროტი დედინაცვალი ყოფილა“.

როგორც ა. ზიგერის კორესპონდენციაშია აღნიშნული, ებრაული ეროვნების ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩავიდნენ, ისევე არ დასჭირვებიათ დიდი ხანი იმისათვის, რომ დარწმუნებულიყვნენ, რათ-დენ ძნელი ცხოვრება მოელით იქ. ხელისუფალნი მათ სიხარულით როდი ხვდებიან. ბევრი ემიგრანტი სამუშაოს ვერ პოულობს. რადგან ენა არ იცის. ცხოვრობენ დახმარებით, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გადიხადონ.

„ჩემმა ვალმა უკვე მიაღწია 7.400 დოლარს, — თქვა გრუნეველდის ხასლის მეორე მცხოვრებმა ოდესელმა მექანიკოსმა. — მე და ჩემი ცოლი 11 თვის წინათ ჩამოვედით აქ, დღემდე ვერ მიმუშავია სამუშაო, თუმცა გერმანული ენა შევისწავლე“.

გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“ სტატიაში „სტოვენენ ადთქმულ ქვეყანას“ აღნიშნავს, რომ წლითიწლობით იზრდება ებრაული ეროვნების ყოფილ საბჭოთა მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც ისრაელს ტოვებენ, რადგან გული აუცრუვდათ ამ ხოტბაშესხმულ „აღთქმულ ქვეყანაზე“.

ტერორისტული აქცია

სტოკჰოლმი, 25 აპრილი. (საკდესი). დასავლეთგერმანელი ტერორისტების ჯგუფი, რომლებიც „ბაადერ-მაინჰოფის“ ანარქისტულ ორგანიზაციას ეკუთვნიან, გუშინ დღისით შეიჭრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტოკჰოლმის საელჩოს შენობაში და გიიტაცა 12 დასავლეთგერმანელი დიპლომატი, რომელთა შორის იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი შვეციაში დ. შტეკერი.

თავდამსხმელებმა ააფეთქეს საელჩოს შენობა, სცადეს გაქცეულიყვნენ, მაგრამ შეად პოლიციელებთან შეტაკების შემდეგ ისინი დაიპატიმრეს.

თავდასხმის დროს დაიღუპა ორი დიპლომატი, მათ შორის საელჩოს სამხედრო ატაშე, რამდენიმე დიპლომატი და პოლიციელი დაიჭრა.

ბონი, 25 აპრილი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა დღეს ბუნდესტაგში გააკეთა მთავრობის განცხადება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტოკჰოლმის საელჩოზე ტერორისტთა თავდასხმის შესახებ.

როგორც შმიდტმა განაცხადა, ტერორისტების ეს გამოხდომა იყო თავხედობა, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა ყველაზე სერიოზული შედეგები უკანასკნელი 26 წლის მანძილზე. ჩვენ შევძელით წინააღვდგომოდით ამ საზიზღარ გამოხდომას შვეციის მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა.

ჰ. შმიდტი შეეხო ტერორისტთა მოთხოვნების და თქვა, რომ ტერორისტები მოითხოვენ გაეთავისუფლებინათ რამდენიმე კაცი, რომელთა შორის იყო სისხლის სამართლის დამწაშავეთა გაერთიანების „ბაადერ-მაინჰოფის“ ბირთვი, რომელსაც ბრალად ედებათ ხალხის დახოცვა, დიეერსიული აქტები, ბანკებზე თავდასხმა.

ვულკანის ამოფრქვევა

ველინგტონი. კვლავ ამოქმედდა ვულკანი რუაპეჰუ, რომელიც ჩრდილოეთის კუნძულზე (ახალი ზელანდია) ქალაქ ტაუმარუნუის ახლოს მდებარეობს. ვულკანის ამოფრქვევის შედეგად მაღალმთიანი ტბის წყალი კუნძულის ცენტრალური ნაწილის ხეობისაკენ დაეშვა. მატარებლების მოძრაობა კუნძულის რკინიგზის მთავარ მაგისტრალზე შეჩერებულია. დაზიანებულია რამდენიმე ხიდი.

ოთანამშრომლობის პერსპექტივები

ჟენევა, 25 აპრილი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის 30-ე სესიამ. განიხილეს ევროპის ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა, კომისიის საქმიანობა და მისი ამოცანები.

სესიაზე ხაზი გაუსვეს განსაკუთრებულ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს ეჭირება ქვეყნებს შორის ფართო ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ევროპის ეკონომიური კომისიის სესიის მუშაობამ ცხადყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების უდადესი დაინტერესება ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებით, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობით სოციალისტურ სახელმწიფოებთან. აღინიშნა ეკონომიური თანამშრომლობის ისეთი ახალი ფორმების მნიშვნელობა, როგორიცაა გრძელვადიანი დიდმასშტაბური გარიგებანი კომპენსაციურ საფუძველზე.

უცხოური ელეზაიჭა

აფრიკის ცხოველთა დასაცავად

ტანზანია. ნაკრძალებში ყველაზე სრულად არის შემორჩენილი კონტინენტის ცხოველთა სამყარო.

ამას წინათ ტანზანიის ბანკმა გამოუშვა ახალი მონეტები. ორ მათგანზე, რომლებიც ვერცხლისაა და 25 და 50 შილინგის ღირებულებისაა, გამოსახულია შესაბამისად ფირაფები და მარტორქა. მესამე მონეტა ოქროსია, 1500 შილინგი ღირებულებისა, და ზედ გამოხატულია გეპარდი.

ამ მოხატების გამოშვება თითქოს მიმართვაა მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი, მოწოდება — დაიცვას აფრიკის ხოცაარი ცხოველთა სამყარო, გადაარჩინოს იგი მოსპობას. მოელიან, რომ მონეტებს ფაუნის ჯველაზე იშვიათ ცხოველთა გამოსახულებით აფრიკის მთელი რიგი ისეა ქვეყნებიც გამოუშვებენ.

ტელეფონი ფუფუნება არ არის

დღეს ბევრი ნორვეგიელი ცდილობს მოიცილოს... ბინის ტელეფონი. ეს მისწრაფება განსაკუთრებით გაძლიერდა მიმდინარე წლის დამდეგიდან, როცა მკვეთრად გაიზარდა ტელეფონით სარგებლობის ისედაც მაღალი ჭირა. „ტელეფონის ალიაქთობა“ უკანასკნელ ხანს ამონენტების იშვიათი მიხვედრილობა გამოიწვია. ბევრი ახეოხებს უფასოდ დარეკოს ქუჩის უბრალო ავტომატიდან საერთაშორისო ხაზებზეც კი. ქუჩის ტელეფონის აპარატებს ხასწრაფოდ ცვლიან.

ბაყაყები კუს ნაცვლად

კუს წვნიანი სინგაპურის მცხოვრებთა ყოველთვის ერთ-ერთი საყვარელი კერძი იყო. კუ ბევრი იცის მდინარეთა შესართავებში და ჭაობიან ადგილებზე. მაგრამ ზღვისთვის ხმელეთის წარმომავლობის, ჭაობების დაძრობის და მიწათმოქმედებისათვის ლანდშაფტის სხვა ცვლილებების ინტენსიურმა პროგრამამ ცვლილებები გამოიწვია კუნძულის ცოცხალთა სამყაროშიც. გაკრა, კერძოდ, კუ. უკანასკნელ წლებში სინგაპური მათ უიდულოდა მეზობელ მალაიზიაში. 10 ათასამდე კუს, ბაკნანსა და უბაკნოს, ყოველ თვეს ეზიდებოდნენ დამბაზე, რომელიც სინგაპურს მალაიზიასთან აერთებს. მაგრამ ამას წინათ მალაიზიაში ძალაში შევიდა ბუნების დაცვის კანონი, რის შესაბამისადაც ამ პირებს, რომლებსაც ამბილებენ კუს დაკერასა თუ სროლით დაზოცვაში, დიდ ჯარიმას ახდევინებენ, ან ხაპყრობილშიც ხვამენ. ხასტიკად სჯიან იმათაც, ვინც კუს გასაყიდად გაშენებას ეწევა საეცალური ლიცენზიის უქონლად. ერთი სიტყვით სინგაპურის კულინარებს ბაყაყებით მდგომარეობას შეეგუონ. კუს წვნიანის ნაცვლად ისინი სთავაზობენ ბაყაყის წვნიანს ან ბაყაყის მობრაკულ ფეხებს ნივრის ხოუსით. თუმცა სინგაპურში ეს კერძები ნაკლებად პოპულარული როდია.

ბრძოლა საბჭოთა ხალხის უკვდავ გმირობას

მსოფლიოში პირველმა სოციალისტურ მა ქვეყანამ თავის მხრებზე გადაიტანა ბრძოლის მთავარი სიმძიმე, და გაანადგურა ფაშიზმი, რითაც მოსპობის ყველა ისსნა მსოფლიოს ცივილიზაცია და კულტურა, მშვიდობა, თავისუფლება და დემოკრატია მოუტანა ევროპისა და აზიის ხალხებს, მათ შორის გერმანელ ხალხს.

ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ავრეთვე ქართველმა ხალხმა, რომელმაც დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გაგზავნა თავისი 700 ათასი საუკეთესო შვილი. მხსენ სამშობლოს 138 საბჭოთა კავშირის გმირი. 240 ათას კაცს მიენიჭა მთავრობის ჯილდოები საბრძოლო საგმირო საქმეებისათვის, 600 ათასამდე ადამიანი დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირკვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

— სესიაში მონაწილეობდნენ პარტიის ვეტერანები, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

„საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გმირკვება“ — ამ თემაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. სტურუამ.

„ქართველი ხალხის წვლილი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გმირკვებაში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ა. სურგულაძის მოხსენების თემა.

„ქართული მხატვრული ლიტერატურა დიდ სამამულო ომში“ — ამ საკითხს მიუძღვნა თავისი ხოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელმა, კრიტიკოსმა ბ. ელენტმა.

„საქართველოს უმაღლესი სკოლა დიდ სამამულო ომში“ — ამ თემაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა კ. ცქიტიშვილმა. (საქინფორმი).

საზოგადოებრივი აზრის საგჭო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის საბჭო. მედიცინის მუშაკებთან ერთად იგი აერთიანებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს, მოწინავე მუშებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, პრესის, ტელევიზიის, რადიოს მუშაკებს.

საბჭოს პირველი სხდომა გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, პროფესორმა ი. ზედგინიძემ.

ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მთავარმა რედაქტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ჯ. მამალაძემ შეკრებილთ გააცნო საბჭოს წესდების პროექტი.

სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. ზურაბაშვილი, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, გ. ნუბანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ბერიძე, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გ. საყვარელიძე, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, მწერალ გ. ნატროშვილი, ჟურნალისტები ს. გელენსონი, გ. კაპანაძე, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ო. თორთლაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე მ. პაპასოვი, რესპუბლიკის მთავარი მეანე-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ჟურცხალია, რესპუბლიკის ახალგაზრდა მედიკოთა საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ყორაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — ჯ. მამალაძე. (საქინფორმი).

... ინტერესების დასაცავად

ბონი, 25 აპრილი. (საკდესი). 25 აპრილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პორტუგალიელი ხალხისათვის. ამ დღეს ქვეყანა აღნიშნავს დემოკრატიული ანტიფაშისტური აჯანყების პირველ წლისთავს, როცა ფაშისტურ ძალების პროგრესულმა მოძრაობამ დაამხო ფაშისტური დიქტატურა და შეუდგა ღრმა სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებას ქვეყანაში. ამავე დროს, 25 აპრილი — ეს არის უკანასკნელი 48 წლის განმავლობაში პირველი თავისუფალი არჩევნების დღე ქვეყანაში.

ექვს მილიონზე მეტმა პორტუგალიელმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, რათა აირჩიოს 247 დეპუტატი ეროვნულ დამფუძნებელ კრებაში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქვეყნის დემოკრატიული კონსტიტუციი. ... ...

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული

ალრე ცივგომბორის მთის ფერდობზე შეფენილი პატარა სოფელი ბუბერა მნახველს ბინავრით ვერაფრით მოაწონებ ბდა თავს. ჭოხმახები იყო მისი „მშვენება", სიღარიბე და სიდუხჭირე სუფევდა აქ, ადგილობრივ მცხოვრებლებს სასიცოცხლო ბევრი არაფერი ჰქონდათ.

ამ სოფელში ასკილის ყვავილობამდე ბიჭრად ადრე უთავდებოდა საფქვავი ბესო ღუდუმძის ჯალაბობას. პირველი ბიჭი ბესო და სოფიო ღუდუმძიერს 1910 წელს შეეძინათ, წლისთავზე მეორე ბიჭმა აუბა ხმა ძმას ტირილში. მომდევნო ბიჭებიც ერთმანეთზე მოყოლებით შეეძინათ.

მიწა ცოტა ჰქონდა ღუდუმძის ოჯახს, თორემ ქერს მაინც დათესავდნენ ბლომად. ადრე შემოდის ეს დალოცვილი და სულს მოვითქვამთო. არც კი აცდიდნენ ქერს წესიერად შემოსვლას, მზეზე ახმობდნენ, დაბეგავდნენ და უფროსი ბიჭები ხურაზე წამოკიდებული დამონძილი პატარა ტომრებით წისქვილისაკენ მიიჩქაროდნენ.

ასეთ ცხოვრებაში იყვნენ ისინი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელში შემოინახა. დიდ დროს არ გაუვლია, ღუდუმძეებმა მიწა მიიღეს, ბიჭებიც წამოიზარდნენ და უნდა გენახათ რა გნიასით მოედებოდნენ ხოლმე სათოხნსა და სამკალს. მალე პატარა ვენახიც გააშენეს და პირველი მტევნები ჩაწურეს...

კოლმეურნეობაში ერთ-ერთი პირველი ღუდუმძეების ოჯახი შეიდა. პატიოსანი, თავდადებული შრომით გაითქვეს სახელი მამა-შვილებმა, სული მოითქვეს, თანდათან წელში გაიმართნენ, სკოლაც გაიხსნა და ბიჭებმა წერა-კითხვა ისწავლეს.

სოფელი მოოინერდა. ღუდუმძის ბიჭები რიგრიგობით, მიდიკ' დასავლეთის სასაზღვრო რაიონებში შეხვდნენ პირისპირ ფაშისტთა ურდოებს.

გამოჩნდა პირველი სამკუთხა წერილი. შალვა შმობლებს სწერდა — მიიმე ბრძოლები გვიდება, მაგრამ ეაკაკურად ვუმკლავდებით ფაშისტებს. ჩემზე არ ინაღვლოთ, მტერს დავამარცხებთ და ალალი ერთად ვეძნებით. ჩემს ბიჭი ეყოლოს, პაპის სახელი დარქვით, გოგოს კი თქვენ თვითონ ამორჩიეთ სახელი.

მალე სხვა შვილების წერილებიც მოვიდა. ყველანი იწერებოდნენ — ფრონტის წინა ხაზზე ვართ, მტერს ვინადგურებთ, გავიმარჯვებთ და სახელოვნად დავიბრუნდებითო.

— ნეტავ სად იბრძვიან ჩვენი შვილები. ვიცოდეთ მაინც, რომელ მხარეში არიან, — დაიწუწუნებდა ხოლმე სოფიო.

ალექსანდრე, პავლე და მიშა ღუდუმიძეები.

შალვა, ვახტანგ და შოთა ღუდუმიძეები.

ოდნენ წითელი არმიის რიგებში. სამმა უფროსმა შვილმა ვახტანგმა, შალვამ და ალექსანდრემ საგალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადეს და ოჯახს დაუბრუნდნენ. სამი ჯან-ღონით სავსე ვაჟაკაცი კვლავ მხარში ამოუდგა მამას და მალე ბარში ახალდასახლებულ სოფელს მათი ორსართულიანი სახლიც შეემატა. ამ დროს მომდევნო შვილები პავლე და მიშაც გაიწვიეს საგალდებულო სამხედრო სამსახურში, ხოლო 1941 წლის გაზაფხულზე ნაბოლარა შოთაც მიჰყვა მათ.

ბევრს უჩინებდნენ მშობლები ჯარიდან დაბრუნებულ შვილებს დაქორწილდითო, მაგრამ უარობდნენ ბიჭები, სახლი გასამართავი გვაქვსო, ისევ მეორე შვილმა შალვამ გიტეხა ნავსი და სოფელ კისისხევიდან ბაბულია კოზმანაშვილი მოუყვანა რძლად დედას.

დადგა 1941 წლის ზაფხული, სოფელი ყანის მკაში იყო გასული. სწორედ ამ დროს გაისმა ბუშტშიც თავზარდამცემი სტეფა — ომი! ადიძრა ეშელონები ფრონტისაკენ. თელავის რაიონიდან ომში წასულთა პირველ ჯგუფებში მოხვდნენ ძმები ვახტანგ, შალვა და ალექსანდრე ღუდუმძეები. პავლე, მიშა და შოთა — სულ ერთი არ არის, დადგეკო, სადაც არ უნდა იბრძოდნენ, ეს ხომ ჩვენი სამშობლოა და შველა უნდა მას.

საფოსტო მისამართები ადასტურებდა, რომ ექვსივე შვილი სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა, ასე გრძელდებოდა 1942 წლის ბოლომდე. ფოსტალიონი ხან ორს, ზოგჯერ სამ წერილსაც კი ერთად მოუტანდა ხოლმე ომში წასული ექვსი ვაჟაკაცის შმობლებს. და აი, მიშას წერილმა დაიგვიანა. ერთხელ ფოსტალიონმა ბგსოს სახლში კი არა პირდაპირ სამუშაოზე მიაკითხა, განზე გაიხმო და თვალცრემლიანმა კონვერტი გაუწოდა. სამხედრო კომისარიატიდან იტყობინებენრნენ, ოქვენი შვილი მიშა ღუდუმძე გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზეო.

ბესომ ბოლმა გულში ჩაიმარხა, ცოლსა და რძალს არაფერი უთხრა. ოროოდე თვის შემდეგ მან ალექსანდრეს შესახებაც ასეთივე ცნობა მიიღო, მაგრამ არც ეს გაამხილა, ეს კიდ, რომ პირქუშობა და უხასიათობა დასჩემდა.

მაშინ კი, როცა ბესომ შალვას დაღუპვის შესახებაც მიიღო ცნობა, სამუშაო მიატოვა, სახლში შეიდა, შვილიშვილი გულში ჩაიკრა და ცრემლები გადმოსცვივდა.

მეუღლე და რძალი თითქოს ადგილზე გაქვავდნენ, ცახალი იყო, პატარა ეთერს მამა აღარ ჰყავდა. ამ დღიდან გლოვამ დაისადგურა ღუდუმძიეების ოჯახში.

1943 წლის ზაფხულიდან აღარც სხვა შვილების წერილები გამოჩენილა, მაგრამ ბესო ამეედებდა ბეუღლეს — ხომ იცი, ახლა ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ, ბიჭებს სადღა ეცლებათ წერილების მოსაწერად. ან დამთავრდება ომი და ხეთთვე ერთად გამოჩნდებიო.

ეს ტყუილი ორმაგად უმძიმდა ბესოს. ძან ხომ დანარჩენი სამი შვილის დაღუპვის ცნობებიც მიიღო, მაგრამ ცოლს მაინც არ უტყდებოდა, ექვსივე შვილის დამკარგავმა დედამ არაფერი აიტეხოსო.

ომი დამთავრდა, ღუდუმიძიანთ ბიჭები კი მაინც არ ჩანდნენ,

მოვლენ, მოვლენო, — ბესო



ექვსი ძმა



მაინც ჯიუტად გაიძახოდა. დიახ, მოვლენო, იხტიბარს არ იტეხდა სოფიოც. დრო კი მიდიოდა.

მოულოდნელად ყველაფერს ფარდა აეხადა. ერთ საღამოს ბესოს მეზობელი სოფლიდან სტუმარი ეწვია. მან ბესოსაგან აღრეევე იცოდა ყველაფერი. სოფიომ სუფრა გაშალა და კერძის შემოსატანად გავიდა. სტუმარმა ქუდი მოიხადა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო, თავი წაუკიცა და თქვა:

— ჩემო ბესო, ეს პირველი ჭიქა ღვინო შენი ექვსი შვილის მოგონებისა იყოს. სახელოვანი ვაჟკაცები დაზარდე, მე მათ როგორც მკვდრებს კი არა, როგორც ცოცხლებს ვაღიდგრძელებ.

სოფიო სწორედ ამ დროს კართან მოსულიყო და სტუმრის სიტყვები გაგონა.

— ვაიმე, შვილებო!.. — ერთი კი შეჯიკვლა, ლანგარი ხელიდან გაუვარდა და გულწასულმა ჩაიკეცა.

ამ დღიდან ცრემლი აღარ შეწშრალა ექვსი შვილის დაკარგვამ ედიკ თვალზე. მოტყდა ბესოც, სოფელში ლღეკაცს რომ ეძახდნენ.

კერა მაინც არ ჩამქრალა. პატარა ეთერი დაცქრიალებდა ეზოში, სწორედ ის გოგონა, მამა რომ არასოდეს ენახა თავისი თვალით. რძალმა თავი დადო ოჯახზე, დედამთილ-მამამთილს ამოუდგა მხარში და როგორც კი შეეძლო, ანუგეშებდა. ერთგულად უვლიდა მოხუცებს მათი სიცოცხლის დასასრულამდე.

წამოიზარდა ეთერი, საშუალო სკოლა დაამთავრა და საზოგადოებრივი კვების დარგში მუშაობს ამჟამად.

სამშობლოსათვის თავდადებული ექვსი ძმის სურათები გამოფენილია სოფლის ბიბლიოთეკაში მოწყობილ სტენდზე. ბიბლიოთეკაშივე შეიტყობთ, რომ ამ პატარა სოფლიდან დიდ სამამულო ომში 213 ვაჟკაცი წასულა და მათგან 156 დაცემულა ბრძოლის ველზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფელი ვალშია მშენებელთა წინაშე. განა იმის საშუალება ვერ გამონახეს, რომ ობელისკი აეგოთ და თვალსაჩინო ადგილზე მოეწყოთ ფოტოსურათების სტენდი მსგავსად სხვა სოფლებისა?

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გმირთა ნაკვალევზე

ბრესტი. (საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი კ. ამაღლობელი). ბრესტში ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის მშრომელთა 1974 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საქართველოს ქალთა ფელეგაცია, რომელიც მეგობრობის მატარებლით მოგზაურობს საბრძოლო დიდების ადგილებში. ქალაქის დათვალიერების შემდეგ დელეგაციამ მოინახულა „ბრესტის გმირი ციხე-სიმაგრის" მემორიალური კომპლექსი.

მეელვარებით ეცნობოდნენ საქართველოს წარგზავნილები ციხე-სიმაგრეს, სადაც ყოველი ქვა, ყოველი მტკაველი მიწა საბჭოთა მეომრების გმირობის მოწმეა. ომის ცეცხლით გარეჯული ხოლმსკის კარიბჭე, წითელარმიელთა ყოფილი კლუბი, ციხე-სიმაგრის კედლები, ყველაფერი ეს მოგვგონებს იმათ, ვინც პირველი სტრიქონები ჩაწერა სამამულო ომის სახელოვან მატიანეში.

საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლები — სოციალისტური შრომის გმირები, ომის ვეტერანები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი შეიკრიბნენ საბჭოთა მეომრების ამ დიდების ძეგლთან, რათა თაყვანი ეცათ დაღუპული გმირებისათვის, იყვნენ მემორიალურ სასაფლაოზე.

ქართველმა ქალებმა ერთი მუჭა მშობლიური მიწა მოაყარეს ივანე ზედგინიძის, ირაკლი ბოსტაგაშვილის და ონისიმე ასათიანის საფლავებს. ყვავილებთ შეამკეს საფლავები, მემორიალური კომპლექსის მთავარი ძეგლი — ქედუხრელი ჯარისკაცის მონუმენტი და სკულპტურული კომპოზიცია „წყურვილი". სამამულო ომის მონაწილემ ლიდა ესართიამ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე იები დარგო.

გრძელდება საბრძოლო დიდების ადგილების დათვალიერება. მორიგი პუნქტია საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი — გმირი ქალაქი კიევი.

მამაცობის, კეთილშობილების საზღაურად

ჯულანდიაში არის ადგილი, რომელიც ნაცნობია საქართველოს ყოველი მცხოვრებისათვის. ეს არის ტექსელის კუნძული, სადაც გასისხენებს 565 ქართველი მეომარი, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას დიდ სამამულო ომის მრისხანე წლებში.

ორასი საბჭოთა ჯარისკაცი — ტექსელის პატიმარი მოესწრო გამარჯვების დღეს. მათ დაეხმარნენ კუნძულის მცხოვრებლები, რომლებიც ფაშისტებმა სასტიკად დასჯეს. 117 კაცი საშინლად აწამეს, რომელთაგან ბევრი წამების დროს დაიღუპა.

მაღლიერ ქართველ ხალხს ახსოვს ეს. თბილისელმა მოქანდაკეებმა ბ. ონიაურმა, გ. ჯაფარიძემ, ე. საყვარელიძემ და არქიტექტორმა ნ. ზეალოტნიშვილმა შექმნეს ძეგლი, რომელიც დღეს ტექსელელ ანტიფაშისტთა კეთილშობილურ საქციელს მოგვაგონებს. ეს ძეგლი შორეული პოლანდიის კუნძულზე დაიდგმება.

სურათზე: ძეგლი, რომელიც ასახავს ფაშიზმის წინააღმდეგ ჰოლანდიაში მებრძოლთა მამაცობასა და კეთილშობილებას. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბორის პაიჭაძე ნიკ. ღლისაა

ფეხბურთის დიდოსტატი

60 წელი შეუსრულდა სახელოვან სპბჭოთა სპორტსმენს. შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბორის სოლომონის-ძე პაიჭაძეს.

დღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, სპორტული საზოგადოებრიობა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში მართავს ბორის პაიჭაძის დაბადების მე-60 და სპორტული მოღვაწეობის 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

ამ თარიღისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ეურნალისტ ო. ბაბუაშ წიგნი „ბორის პაიჭაძე" — დოკუმენტური მოთხრობა, რომელშიც მხატვრულად არის ასახული ფეხბურთის უბადლო დიდოსტატის სპორტული და საზოგადოებრივი ცხოვრება. საგულისხმოა, რომ წიგნს დართული აქვს ცნობილი სპბჭოთა მწერლის, ფეხბურთის დიდი ტრფიალის, ლევ კასილის წინასიტყვაობა — „თბილისელთა სახელოვანი „კაპიტანი", რომელიც მან სიკვდილის წინ დაწერა. ვბეჭდავთ ამ წინასიტყვაობას მცირეოდენი შემცირებით.



... თუ კაცს ფეხბურთი უყვარს და მწვანე მოედანზე ერთხელ მაინც ჰყავს ნანახი ბორის პაიჭაძე, იგი ვეღარ დავიწყებს ამ ფეხბურთელს.

მე კი ბორის პაიჭაძე ბევრჯერ მინახავს, არც ფეხბურთელის სიყვარული მისწავლია გუშინ!

ბორის პაიჭაძეში, როგორც ფოკუსში, ისეა თავმოყრილი დიდი სპბჭოთა ფეხბურთის ყველა საუკეთესო ნიშან-თვისება. დაუცხრომელი ენერგია, რომელიც პირად შეუპოვრობასა და პარტნიორებზე, ზემოქმედებით გამოიხატებოდა, ტექნიკურ საშუალებათა მდიდარი არსენალი, ბურთის დამუშავებისა და ტარების უბადლო ოსტატობა, გაბედულება, უზადო სიფაქიზე, თამაშის ღრმად თავისებური სტილი და საკუთარი მოქმედების მკაცრად დაქვემდებარება, ორიგინალურად შერწყმა გუნდის მთელ თამაშთან, რომლის ჩანაფიქრსაც ხშირად თვითონვე ახორციელებდა მოედანზე — აი თვისებები, რომლებმაც მწვანე მინდორზე საყოველთაო აღიარება და ფეხბურთის მრავალი ათასი მოყვარულის ერთსულოვანი სიმპათია მოიპოვა ამ საუკეთესო ფეხბურთელს თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში თუ საზღვარგარეთის სტადიონებზე.

როცა თბილისის „დინამო" მოსკოვის სტადიონზე მატჩისწინა მოთოლქვზე გამოდიოდა ხოლმე, მოედანზე ყველანი გაფაციცებით ეძებდით საშუალო ტანის, ფრიად მოძრავსა და სხარტ თოთამაშეს — თბილისელთა სახელმოზეიქილ „კაპიტანს. — პაიჭაძე, პაიჭაძე!... — გაისმოდა შეძახილი ხალხით სავსე ტრიბუნებზე.

აი, იწყებოდა თამაშიც, ... ყოველთვის როდი მოჰქონდა სასურველი. ზოგჯერ გამარჯვება ჩვენი სტადიონისთვის ... ეკისრებოდა. ... ეროვნული წარმართულიყო თამაში, ვისი გულშემატკივრებიც უნდა მსხდარიყვნენ სტადიონზე, სულერთია, ხშირად გადაეფერდა ტრიბუნებს მქუხარე ტაში სოცრად მოძრავი, მოედანზე ჭარიშხალიეთ მოთარეშე. შეტევაში დაუოკებელი, დაცვაში უნარიანი და სიმედო ფეხბურთელის სადიდებლად. იგრძნობოდა, რომ მეტ სტუმრების სული და გული იყო. პაიჭაძე არა მარტო იწყებდა კომბინაციებს, არამედ თვითონაც სწრაფად იცვლიდა ადგილს. ზედმიწევნით ზუსტად ირჩევდა ხელსაყრელ პოზიციას და ყოველთვის იქ აღმოჩნდებოდა ხოლმე, საიდანაც „ქვანძის გახსნა" — მოწინააღმდეგის „ქარის აღება" იყო მოსალოდნელი.

მე ბორის პაიჭაძის, — როგორც მას რუმინეთის გზეთემა შეარქვეს „ფეხბურთის კარუზოს", — თამაში მისი ძალების გაფურჩქვნის პერიოდშიც მინახავს და ცოტა უფრო გვიანაც, როცა ასაკს უკვე თავისი უნდა გაეტანა და გატანდა კიდეც, რომ ჭეშმარიტი სპორტსმენისათვის მუდმივსა და შეუპოვარ წვრთნას ასე ხანგრძლივად არ შეენარჩუნებინა ფიზიკური ძალა, ხოლო სრულყოფილ ტექნიკას, არ შეეგსო მაღალი კლასის ფეხბურთელს საბრძოლო პოტენციალი.

თავშეკავებულსა და მოსაზრებულს ყოველგვარ მდგომარეობაში სწრაფი ორიენტირების უნარი ჰქონდა და მუდამ აღელვებდა და ახარებდა მაყურებელს მოულოდნელი, გაბედული შეტევით. წინ შურდულივით გაჭრილი, მოფიქრებული ლამაზი კომბინაციებით, ... ბურთიელებთან მიკიბ-მოკიბვა ასევეთვე თავმდაბალ, ბრინციპულ, მტკიცე ნებისყოფისა და უაღრესად გულისხმიერ ადამიანად ვიცნობდით: ბორის პაიჭაძე სპორტით ცოცხლობდა — ეს სპორტით, რომლის განსადიდებლადაც ბევრი რამ გააკეთა პირადად.

...ბორის პაიჭაძეები არ მეორდებიან: მათი ყოველი ნაბიჯი ისტორიის კუთვნილებაა... ბორის პაიჭაძის მაგალითზე უნდა აღიზარდონ ტყავის ბურთის მომავალი ოსტატები.

ლევ კასილი.

— მეგობრული შარჟი

მსატვარი ბ. ფერცხალავა.

საჭადრაკო ტურნირებზე

ვრნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის მე-12 ტურში ნონა გაფრინდაშვილი ხვდებოდა ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ იანსას და დამარცხდა, გიპსლისმა კი ყაბით დაამთავრა შეხვედრა უნგრელ ვაღაშთან. 24 აპრილს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ნ. გაფრინდაშვილს თამაშის განუახლებლად დანებება რუმინელი საერთაშორისო ოსტატი ჩოკილტია, მაგრამ წააგო იუგოსლაველ ბარლოვთან. ახლა ტურნირის 8,5 ქულით ლიდერობს ვადაში, მეორე-მესამე ადგილებზე რვა-რვა ქულით არიან გიპსლისი და იუგოსლაველი ოსტატი. ნ. გაფრინდაშვილს 5 ქულა აქვს.

ლას-პალმასი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ადგილებს საბოლოოდ გამოარკვევს უკანასკნელი მე-15 ტური. ჯერ-ჯერობით ლიდერობს იუგოსლავიელი გროსმასტერი ლუბოიევიჩი, რომელსაც 10,5 ქულა აქვს. მას ერთი ქულით ჩამორჩებიან მაკინგი (ბრაზილია) და ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). შემდეგ არიან ანდერსონი (შვეცია), ოლეფსონი (ისლანდია) და ტალი — 9 ქულა თვითეულს. პეტროსიანს 8 ქულა აქვს.

ფინიშზე ერთმანეთს ხვდებიან ლიუბოევიჩი — ტატი (იტალია), მეკინგი — ოლაფსონი, ანდერსონი — კარდოსო (ფილიპინები), ტალი — ფერნანდესი (სესპანეთი), პეტროსიანი — როდრიგესი (პერუ).

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატში დამთავრდა 7 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. სტურუამ მუშგო კიკილაშვილს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბიბილაშვილთან და კვლავინდებურად ერთადერთ ადგილზეა. ჩინებული შედეგით — 6 ქულა 7 თამაშიდან.

ხუთ-ხუთი ქულა აქვთ ოსტატებს ბუსლაევს, ჩიქოვანსა და ტუზოვსკის, რომლებიც ასევე დაუმარცხებლად იბრძვიან. 4,5 ქულა მოაგროვეს ოსტატმა ლომაიამ და ოსტატობის კანდიდატმა ჩახოიანმა.

ყველას დიდ ინტერესს აღუძრავს საერთაშორისო ოსტატ მაია ჩიბურდანიძის თამაში. მაიამ, რომელიც კონკურსგარეშე გამოდის, შეჯიბრება წაგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გამოასწორა მდგომარეობა, მეშვიდე ტურში სძლია ოსტატ მიქაძეს და ახლა 3,5 ქულა აქვს.

თბილისის საკავშირო

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. ამჯერად ასპარეზზე გამოვლენ ლენინგრადის, ბაკოს, სარატოვის, ორჯონიკიძის, ორიოლის, ტაშკენტის, კიშინიოვის, დუშანბეს, კიროვოგრადის, როვნოს, ჩერკასკის და თბილისის მოჭიდავეები, — სულ ასამდე მონაწილე.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ამ ტურნირზე დაიცავენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობების პრიზიორი შოთა მორჩილაძე და მისი უმცროსი ძმა სპორტის ოსტატი შალხაზ მორჩილაძე, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი რესპუბლიკის ოსტატ ალეკსანდრ ბაბანიანი, ... ოსტატ ალეკსანდრ ბაბანიანი, ... ოსტატ ალეკსანდრ ბაბანიანი, ...